ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 77

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ისნის რაიონში, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ისნის რაიონში, გუჯარეთის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ისნის რაიონში, მელაანის I და II ჩიხებს მიენიჭოს პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის II და III ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

X:436150 Y:4615769
რაჟდენ არსენიძის ქ.
X:486222 Y:4615729
X:486183 Y:4615722
II ჩიხი
X:486219 Y:4615711
III ჩიხი
X:486123 Y:4615698
I ჩიხი
X:486295 Y:4615687
X:486206 Y:4615679
X:486212 Y:4615673
I შეს
X:486367 Y:4615644
რაჟდენ არსენიძის ქ.
X:486197 Y:4615557